საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური აცხადებს სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსს გამომძიებლისა და ინსპექტორ-გამომძიებლების პოზიციაზე

სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი ცხადდება საგამოძიებო დეპარტამენტის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ სამმართველოებში:

- განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველო;
- ეკონომიკური საზღვრის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო;
- თბილისის მთავარი სამმართველო;
- ქვემო ქართლის სამმართველო;
- კახეთის სამმართველო;
- მცხეთა-მთიანეთის სამმართველო;
- შიდა ქართლის სამმართველო;
- სამცხე-ჯავახეთის სამმართველო;
- იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველო;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო;
- აჭარის და გურიის სამმართველო.

გამომძიებლის პოზიციაზე სტაჟირების კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უმაღლესი იურიდიული განათლება ან ამ მიმართულების დამამთავრებელი კურსის სტუდენტი;
- უცხო ენის ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ინსპექტორ-გამომძიებლის პოზიციაზე სტაჟირების კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უმაღლესი განათლება ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი;
- უცხო ენის ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

საგამოძიებო სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით სტაჟირების კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“;
- საქართველო კანონი“ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ”;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის #790 ბრძანება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე”.

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

- პირველი ეტაპი: პროფესიული ტესტირება;
- მეორე ეტაპი: ტესტირება ზოგად უნარ-ჩვევებში;
- მესამე ეტაპი: გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან

კონკურსის (ტესტირების) პირველი ეტაპი ჩატარდება კონკურსის გამოცხადებიდან არა უადრეს თხუთმეტი დღისა, ხოლო ყოველი შემდგომი ეტაპი წინა ტესტირების ჩატარებიდან გონივრულ ვადაში;

კანდიდატი კონკურსის შემდგომ ეტაპზე დაიშვება მხოლოდ წინა ეტაპის წარმატებით გავლის (გამსვლელი ქულის მოპოვების) შემთხვევაში;

სტაჟირების კანდიდატს კონკურსის თითოეული ეტაპის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ ეცნობება საგამოცდო ეტაპის ჩატარებამდე 2 დღით ადრე.

კონკურსის ყველა ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტაჟირების კანდიდატმა შედეგების გაცნობიდან ათი დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:

- მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია;
- დიპლომის და ნიშნების ფურცლის ასლი (დამამთავრებელი კურსის სტუდენტის შემთხვევაში - ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან);
- ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- 2 ფოტოსურათი (3X4);
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;
- ცნობა ნასამართლეობის შესახებ.

საბუთების წარმოუდგენლობის შემთხვევაში კანდიდატი სტაჟიორად არ მიიღება!

ტესტირებაზე კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და განაცხადის ამობეჭდილი ვერსია.

განაცხადების მიღება იწარმოებს 2012 წლის **20 იანვრიდან – 2 თებერვლის ჩათვლით.**

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ აკმაყოფილებთ ზემოაღნიშნულ პირობებს და გსურთ მიიღოთ მონაწილეობა კონკურსში, გთხოვთ შეავსოთ განაცხადის ელექტრონული ფორმა ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ვებ-გვერდზე www.mofacademy.ge ან მიმართოთ საგამოძიებო სამსახურის ქვემოთ მითითებულ ტერიტორიულ ორგანოებს - 10:00 საათიდან – 19:00 საათამდე (შაბათ-კვირისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა) შემდეგ მისამართებზე:

რეგიონული ოფისი	**მისამართი**	**საკონტაქტო ტელეფონი**
ქვემო ქართლის სამმართველო	ქ. რუსთავი, კოსტავას ქუჩა N36	(032) 226-21-04
მცხეთა-მთიანეთის სამმართველო	ქ. მცხეთა, ღვინჯილიას ქუჩა N5	(032) 226-22-67
შიდა ქართლის სამმართველო	ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კმ	(032) 226-18-80
კახეთის სამმართველო	ქ. თელავი, ერეკლე მეორეს ქ.N18	(032) 226-18-86
სამცხე-ჯავახეთის სამმართველო	ქ. ახალციხე, პ. ნათენაძის ქუჩა N52	(032) 226-21-36
იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველო	ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა N5	(032) 226-22-53
სამეგრელო_ზემო სვანეთის სამმართველო	ქ. ზუგდიდი, სტალინის ქუჩა N1	(032) 226-23-36
აჭარის და გურიის სამმართველო	ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა N5ა	(032) 226-17-81

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია
ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16
www.mofacademy.ge
e-mail: academy@mof. ge
ტელ: 2 261026